ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საფინანსო–საბიუჯეტო კომისია

ო ქ მ ი № 12

25.08.2021 წ.

სხდომას თავმჯდომარეობდა: თორნიკე კირთაძე
სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ბექა ვაჭარაძე
ოლეგი ნაჭყებია
თორნიკე ხარჩილავა
თემურ დუნდუა
ზვიად დგებუაძე

მოისმინეს: "ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის სხდომის დღის წესრიგის შესახებ".

მომხს. თორნიკე კირთაძე

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. განკარგულების პროექტი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის II კვარტლის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ".
2. განკარგულების პროექტი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის 6 თვის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ".
3. განკარგულების პროექტი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარდგენილი 2021 წლის 6 აგვისტოს პეტიციის (მომხსენებელი: ელისო ჯანაშია, მცხოვრები: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, ბარათაშვილის ქუჩა N 37-ში) შესახებ".

მოისმინეს: თორნიკე კირთაძის მოხსენება განკარგულების პროექტის „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის II კვარტლის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ".

აზრი გამოთქვეს: ბ. ვაჭარაძემ, ო. ნაჭყებიამ

დაადგინეს: 1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ექსპერტ-სპეციალისტის მიერ შესწავლილი საკითხი - „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის II კვარტლის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ" და საფინანსო დოკუმენტაციის შესწავლის აქტები მიღებულ იქნას ცნობად, თანახმად დანართებისა.

2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა (გოჩა კურდღელია) საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.დ." ქვეპუნქტის შესაბამისად, გაატაროს ქმედითი ღონისძიებები ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ზოგიერთი ორგანიზაცია-დაწესებულების ბალანსზე

რიცხული დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების შემცირება-აღმოფხვრისთვის და გაწეული მუშაობის შესახებ აცნობოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 ოქტომბრამდე.

3. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის II კვარტლის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვისთვის გაწეული მუშაობა ცნობად იქნას მიღებული.

მომხრე – 6 წინააღმდეგი – 0

მოისმინეს: თორნიკე კირთაძის მოხსენება განკარგულების პროექტის „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის 6 თვის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ“.

აზრი გამოთქვეს: თ. დუნდუამ, თ. ხარჩილავამ

დაადგინეს: 1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ექსპერტ-სპეციალისტის მიერ შესწავლილი საკითხი - „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის 6 თვის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ“ და საფინანსო დოკუმენტაციის შესწავლის აქტები მიღებულ იქნას ცნობად, თანახმად დანართებისა.

2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა (გოჩა კურდღელია) საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.დ.“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გაატაროს ქმედითი ღონისძიებები ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ზოგიერთი ორგანიზაცია-დაწესებულების ბალანსზე რიცხული დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების შემცირება-აღმოფხვრისთვის და გაწეული მუშაობის შესახებ აცნობოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 ოქტომბრამდე.

3. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის 6 თვის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვისთვის გაწეული მუშაობა ცნობად იქნას მიღებული.

მომხრე – 6 წინააღმდეგი – 0

მოისმინეს: თორნიკე კირთაძის მოხსენება განკარგულების პროექტის „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარდგენილი 2021 წლის 6 აგვისტოს პეტიციის (მომხსენებელი: ელისო ჯანაშია, მცხოვრები: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, ბარათაშვილის ქუჩა N 37-ში) შესახებ“.

აზრი გამოთქვეს: ზ. დგებუაძემ, თ. ხარჩილავამ

დაადგინეს: 1. ცნობად იქნას მიღებული ის გარემოება, რომ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბრის №21/27 დადგენილებით დამტკიცებული მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი **(პროგრამული კოდი: 06 02 09) ითვალისწინებს ქალაქ ფოთის**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (ჯავახიშვილის ქუჩა და სხვა უბნები) მცხოვრები ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლას, კვლევაში ჩართული ბავშვების სამედიცინო და ლაბორატორიულ გამოკვლევას, ბავშვების ორგანიზმში მძიმე მეტალების არსებობაზე.

2. ცნობად იქნას მიღებული ის გარემოება, რომ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტსა და სს „ევექსის" ჰოსპიტლებს შორის დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2021 წლის 17 ივნისის №80 ხელშეკრულება და სატენდერო დოკუმენტაცია (ელექტრონული ტენდერის განცხადების NAT210009855) ითვალისწინებს **104 ბავშვის გამოკვლევას მძიმე მეტალზე, აქედან, 52 ბავშვი უნდა იყოს ჯავახიშვილის ქუჩაზე მცხოვრები, ხოლო დანარჩენი 52 - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა უბნებში მცხოვრები.**

3. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარდგენილი 2020 წლის 6 აგვისტოს პეტიცია (მომხსენებელი: ელისო ჯანაშია, მცხოვრები: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, ბარათაშვილის ქუჩა №37-ში) დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა, მერიამ საკითხი შეისწავლოს არსებითად, დაადგინოს თუ რამდენად, საჭიროა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის (მათ შორის ჭავჭავაძის, სააკაძის, ფალიაშვილის ქუჩებზე, მინიმუმ 80-100 ბავშვი) მასშტაბით დამატებით, ბავშვების სამედიცინო და ლაბორატორიულ გამოკვლევა, ბავშვების ორგანიზმში მძიმე მეტალების არსებობაზე და სხვა. საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში გატარდეს ქმედითი ღონისძიებები (საბიუჯეტო ან/და სხვა სახსრების მოძიება, შესყიდვების განხორციელება და სხვა).

4. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა, მერიამ აღნიშნული განკარგულების შესრულებასთან დაკავშირებით გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელ ორგანოსთან კოორდინაციით.

5. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა (გოჩა კურდღელია) აღნიშნულ განკარგულების შესრულებასთან დაკავშირებით გამოყოს პასუხისმგებელი პირი/პირები და პერიოდულად საკრებულოს წარუდგინოს ინფორმაცია გატარებული ღონისძიებების შესახებ.

მომხრე – 6 წინააღმდეგი – 0

კომისიის თავმჯდომარე თორნიკე კირთაძე